



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიქელაძე დავით გიორგის ძე



დ. მიქელაძე

მიქელაძე დავით გიორგის ძე (დ. 8. VII. 1947, თბილისი), ბიოლოგი, ბიოქიმიკოსი. საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2013), ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (2000). დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი (1970). იყო ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლ. ინ-ტის უმცროსი, უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1974-83); ექსპერ. ბიომედიცინის ცენტრის ბიოქიმიის განყ-ბის ხელმძღვანელი (1983); სოროსის საერთაშ. სასწ.-სამეცნ. პროგრამა NSF-ის პროფესორი (1995-2000); თსუ-ის პროფესორი; ბიოლოგიის ფაკ-ტის დეკანი (2005-08); ილიას სახელმწ. უნ-ტის სრული პროფესორი (2008). მისი სამეცნ. კვლევის ძირითადი სფეროა ნერვული და იმუნური სისტემების მეტაბოლიზმი, ბიოენერგეტიკა და ბიოლ.

აქტიური ნაერთების მოქმედების მექანიზმები, ნეირო- და იმუნოპათოლოგიის მოლეკულური საფუძვლები. იყო სსრკ ნეიროქიმიკოსთა საზ-ბის პრეზიდიუმისა (1987-91) და ევროპის ნეირომეცნიერებების საზ-ბების ფედერაციის (1998), ტვინის შემსწავლელი საერთაშ. საზ-ბის (1998) წევრი; ჟურნ. „Journal Biological Physics and Chemistry“-ს მთ. რედაქტორის მოადგილე; ჟურნ. „Нейрохимия“-ს რედკოლეგიის წევრი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები.

თხზ.: ბიოქიმია. თბ., 2007; Циклические нуклеотиды, кальций и протеинкиназные реакции в нервной ткани, Тб., 1983.
